

მოსწავლის  ბიბლიოთეკა

დონალდ ბისეტი

ძია ტიკ-ტაკის მოგზაურობა



თარგმნა რევაზ ინანიშვილმა
ილუსტრატორი მაია ბათუმაშვილი



გაქურს სულაქაურის
გამომცემლობა

შინაარსი

თავი I. სადაც ძია ტიკ-ტაკს და მის ვეფხვს, ღრრრის გაეცნობით	5
თავი II. სადაც ძია ტიკ-ტაკი და ღრრრი გადაწყვეტენ იმოგზაურონ დროის მდინარეზე ცისარტყელას ბოლომდე	8
თავი III. ნავი რომ გააკეთეს და წერილები დაწერეს	11
თავი IV. ცხეს ნაამბობი	15
თავი V. სადაც ფაიფურის ფინია საათის ცნობას სწავლობს.....	19
თავი VI. სადაც მოგზაურობა ჭოგრიტის დახმარებით გრძელდება	24
თავი VII. როგორ აცხოვდნენ ტორტს.....	27
თავი VIII. ნაღვლიანი იმპერატორის სასახლეში	34
თავი IX. როგორ ნადირობდნენ მელაზე	40
თავი X. ფოსტალიონი - ჭრაჭუნა ფეხსაცმელები	44
თავი XI. შუალამე	49

თავი XII. როგორ ბანაობდნენ ასოები მდინარეში.....	52
თავი XIII. ბრონტოზავრის ნაღვლიანი ამბავი და ცოტა რამ არითმეტიკის ქვეყნისა.....	57
თავი XIV. მავნეები.....	63
თავი XV. სიტყვები მდინარეზე.....	71
თავი XVI. ღრრისა და სულთნის თავგის ამბავი.....	74
თავი XVII. სადაც ფაიფურის ფინიას იტაცებენ.....	82
თავი XVIII. დადევნება.....	87
თავი XIX. ისევ შინ.....	94
თავი XX. ღრრის ისეთივე გახდა, როგორც იყო.....	98
თავი XXI. ცისარტყელას ბოლო.....	105

თავი I

სადაც ძია ტიკ-ტაკს და შის ვეფხვს, ღრღრის გაეცნობით

ყვითლები, თუ შეიძლება! – სთხოვა ძია ტიკ-ტაკმა თავის ვეფხვს, ღრღრის, – თეთრები არა, მხოლოდ ყვითლები! თან იქნებ ცოტა დააჩქარო!

მაგრამ ღრღრის ყურიც არ შეუბერტყავს. იცოდა, რომ ძია ტიკ-ტაკი ამას ისე ამბობდა, ვთქვათ და უცებ ჟრუნა დედალი გადაგვეყარაო, ყვითელ კვერცხებს რომ დებს.

– საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ჩვენ, იცი, რა გვაკლია, ღრღრი? – განაგრძო ძია ტიკ-ტაკმა, – რა და, ერთი მშვენიერი ღონისძიება.

– მართალია! – გამოცოცხლდა ღრღრი, – ღონ-ღონ... როგორა სთქვი? ღონ... ღონ... ღონი, არა? ხენდროიანი! უჰ, რა იქნება!

– შენა და შენს თავს, ღრღრი! საჭმლის მეტი არაფერი გაგონდება. ასე როგორ შეიძლება. ღონისძიება საჭმელი არ არის. ღონისძიება ესაა... აი, მაგალითად, მე და შენ რომ გადავწყვეტო...

– გადახვევას! – წამოიძახა ღრღრი და ღონივრად მოეხვია ძია ტიკ-ტაკს.

– არა! არა! მაგალითად, როცა მე და შენ ასეთი რამის გაკეთებას გადავწყვეტთ... განძის საძებნელად წავალთ, ან მთვარეზე გავფრინდებით, ანდა... სტუმრებს მოვიწვევთ. მოდი, იცი რა ვქნათ, რაიმე კარგი ღონისძიება მოვიგონოთ. რა მოვიგონოთ?.. რა დამემართა, სად დამეკარგა ჩემი ფანტაზია?

ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

– დიახ! – თქვა ძია ტიკ-ტაკმა, – გისმენთ, ბატონო! ვინ ლაპარაკობს?

– თქვენი ფანტაზია გახლავართ, – გაისმა ყურმილში, – მე თქვენთვის ღონისძიებას ვიგონებ. თუ არ შენუხდებით, რამდენიმე წუთის შემდეგ დარეკეთ ამ ნომერზე: ფან-ტა-ზია, 1234, ფტზ, ერთი, ორი, სამი, ოთხი. მანამდე კი თქვენ და თქვენი ღრრრი წარუდექით ამ წიგნის მკითხველებს. ისინი ხომ ჯერ არ გიცნობენ.

– კი, ბატონო, კი! – თქვა ძია ტიკ-ტაკმა, – სიამოვნებით. მოდი, ღრრრი, ბავშვები უნდა გაგაცნო!

– ძვირფასო მკითხველებო, ეს გახლავთ ღრრრი, ჩემი საყვარელი ვეფხვი. ხანდახან ძალიან ბრაზიანი, განსაკუთრებით სამშაბათობით, საერთოდ კი კეთილი, მშვენიერი ვეფხვი!

ეს კი მე ვარ... ჰმ... თვითონ მე. ერთ წამს მოითმინეთ, შლაპას მოვიხდი და თავს დაგიკრავთ.

სალამი! სალამი!

ხელობით მესაათე გახლავართ. ხანდახან კი საოცრებასაც ვიგონებ.

დიდად მოხარული ვარ, რომ გაგიცანით.



თავი II

საღაც ძია ტიკ-ტაკი და ქროჩი გაღანყვეცენ, იმოგზაურონ ქროჩის მძინარეზე ცისარტყელას ბოლომდე

ფ ტზ 1234, – აკრიფა ძია ტიკ-ტაკმა ტელეფონზე.
ფანტაზიამ მაშინვე უპასუხა:

– ყველაფერი მოგვარდა! ღონისძიება შემუშავებულია. ნავი გააკეთეთ და გუშინ დროის მდინარეს დაუყვევით ცისარტყელას ბოლომდე.

– დიდებულია! – გაუხარდა ძია ტიკ-ტაკს, – მაგრამ რატომ მაინცდამაინც გუშინ?

– ჩქარა რომ ჩახვიდეთ დანიშნულ ადგილას! გზად საბავშვო სიმღერების ტბაშიც შეიარეთ, სიტყვების მდინარისაკენ გაუხვიეთ. მაგრამ მავნეებს კი უფროთხილდით! იმ მავნეებს კაპიუშონიანი შავი ლაბადები აცვიათ. ერთს ნუიზამ ჰქვია, მეორეს – არგაბედო, მესამეს – გრცხვენოდეს! ერთი ძალლიც ჰყავთ – პავ-პავ! ძალიან უფროთხილდით მაგათ! საჭმელი წაიღეთ ბლომად. წაიღეთ კიდევ შალის სვიტერები, საათი, ერთი დას-

ტა ქალაღდი, რამდენიმე მარკიანი კონვერტი, ლამპა,
ჭოგრიტი და ღრრრის სანმენდი ჯაგრისი.

– კეთილი! – მიუგო ძია ტიკ-ტაკმა, – მხედველობაში
ვიქონიებთ ყოველ ინგრედიენტს. კარგად მენახეთ!

– ძია ტიკ-ტაკმა ყურმილი დაკიდა.

უცებ საიდანლაც ძლივს გასაგონი ხმა მოისმა: „მიშ-
ველეთ! მიშველეთ!“

– მგონია, მივხვდი, რა ამბავიცაა, – თქვა ძია
ტიკ-ტაკმა, – ეს სიტყვა „ინგრედიენტებია“, რომელიც
ეს-ესაა ნარმოვთქვი. „ინგრედიენტები“ ისეთი ძნელი
სიტყვაა, რომ ნამდვილად ტელეფონში გაიჩხირა.

ძია ტიკ-ტაკმა დააყურა და სხვა სიტყვებიც გაიგონა,
რომლებიც ტელეფონში ვერ გატეულიყვნენ. „ჰეი, გაგ-
ვატარე!“ – უყვიროდნენ ისინი „ინგრედიენტებს“.

„საბრალო! გვერდები გამოუბეგვეს ქიშინჯებით“,
– გაიფიქრა ძია ტიკ-ტაკმა.

ახმაურდნენ და რას ახმაურდნენ სიტყვები!

– უნდა რამე ვუმღეროთ, რომ ცოტა დამშვიდდნენ, –
თქვა ძია ტიკ-ტაკმა, – მერე ერთს ჩავბერავ ყურმილში
და მავთულის მეორე მხარეს გავყრი ყველას.

ძია ტიკ-ტაკმა ყურმილი აიღო და შიგ ჩაამღერა:

აღბათ იცით, კარგად იცით,
შორეული ავსტრალია,
იქ რომ ერთი ლედი ცხოვრობს,
ქალია და რა ქალია.
დღეს ჩვენ მისგან მოგვივიდა
საოცნებო ამანათი,

წიგნები და აზალია*,
ბათთა-კანფეტ-ლიმონათი,
სასუსნავი მრავალგვარი
და სხვა ინგრედიენტები...

უკანაკსკნელი სიტყვა, რაც კი შეეძლო, სწრაფად ჩაამღერა, რომ ისიც არ გაჭედულიყო, მერე ყურმილში ერთი ღონივრად ჩაჰბერა. მოისმა მსუბუქი „პუქ!“ და გაჭედული სიტყვები ერთი მეორის მიყოლებით გაცვივდნენ მავთულის მეორე ბოლოს.

– ძლივს! – წამოიძახა ფანტაზიამ, – გადაეცით ჩემი გულმხურვალე მოკითხვა ცისარტყელას. ჩემი მდაბალი სალამი ღრრრის! გზა მშვიდობისა! ნახვამდის!

* ყვავილი

თავი III

ნავი რომ გააკეთეს და ნეჩილები დაწესეს

დია ტიკ-ტაკმა ფიცრები, ლურსმნები და ცული აილო, ღრრრი მიიხმარა და ნავი გააკეთა. მერე ნავი ორივემ ერთად შელება. ასწიეს და მდინარესთან მიიტანეს. წყალში რომ ჩაუშვეს, წვეთს არ შეუფონავს, მაგრამ ჩასხდომა ვერ მოახერხეს – ნავი პატარა აღმოჩნდა, ორნი ვერ მოთავსდნენ. ძია ტიკ-ტაკი ჩაჯდა, ღრრრი კი ძალიან დიდი იყო და ვერ ჩაეცია.

მეტი რა გზა ჰქონდათ, ნავი წყლიდან ამოათრიეს და ისევ უკან წაიღეს.

– ეჰ, ღრრრი, – თქვა ძია ტიკ-ტაკმა, – ცოტა პატარა მაინც იყო! ახლა რა უნდა ვქნათ? ან უფრო დიდი ნავი უნდა გავაკეთოთ, ან არადა შენ უნდა დაპატარავდე. ხომ გინდა, პატარა ვეფხუნია რომ იყო? მაშინ ბევრს აღარ შეეშინდება შენი.

– მე მირჩევნია, ბევრს ეშინოდეს ჩემი! – თქვა ღრრრიმ.

– მაშინ, იცი, ჭამაც ცოტა დაგჭირდება.

– მე ბევრი ჭამა მირჩევნია, – თქვა ღრრრიმ, – ისე კი,

შეიძლება ცოტა დავპატარავდე, მხოლოდ დიდი ხნით არა.

ძია ტიკ-ტაკმა კეფა მოიფხანა.

– აბა, ჩემო თავო, – თქვა ძია ტიკ-ტაკმა, – რამე მოიფიქრე.

რალაც აშშ... მა... შშურდა.

– რა არის? რა ხდება, აა, ჩემი აზრები ყოფილან, – მიხვდა ძია ტიკ-ტაკი, – იმდენ ხანს ვფიქრობდი, რომ თავში აზრები აფუსფუსდნენ.

– „უკაცრავად, უკაცრავად,“ – ეუბნებოდა ერთი აზრი მეორეს, – „უნებურად დაგეჯახეთ!“

– „არაფერია“, – მიუგო იმ აზრმა პირველს, – ძია ტიკ-ტაკ! – განაგრძო მანვე, – ცოტა შეისვენეთ, აბაზანა მიიღეთ, მანამდე ჩვენ თქვენ მაგივრად ვიფიქრებთ“.

– „კეთილი, – დაეთანხმა ძია ტიკ-ტაკი, – ჯერ წერილს დავწერ და მერე“.

– „რა წერილს? ვისთვის?“

– „ღრრრის უნდა მივწერო, რომ ყველაზე ლამაზი, ყველაზე კეთილი ვეფხვია ქვეყანაზე და მე ის ძალიან მიყვარს“.

– „პირადად უთხარით“, – ურჩიეს აზრებმა.

– „არ შემიძლია, – თქვა ძია ტიკ-ტაკმა, – მეუხერხულება. უკეთესია მივწერო“.

ამ დროს ღრრრიც დაახლოებით ასეთ რამეს ფიქრობდა:

„აღრრრ! აღრრრ! მართლაც ძალიან ტკბილი კაცია ეს ძია ტიკ-ტაკი“.

– „ტკბილი კი არა, კარგი ალბათ!“ – შეუსწორა ღრრრის ერთმა აზრმა.

– „არა, ტკბილი, ტკბილზე ტკბილი! – თუმცა, რაც მართალია, მართალია, რაც ტკბილია, კარგიც ის არის. გეეჭვებათ? მიდით და, ძალღს ჰკითხეთ!“

ღრრრიმ და ძია ტიკ-ტაკმა ერთმანეთს წერილები მისწერეს. ღრრრიმ წერილები ფოსტაში წაიღო, ძია ტიკ-ტაკი კი აბაზანის მისაღებად წავიდა.

– ძალიან გონიერი ვეფხვია, – უთხრა ძია ტიკ-ტაკმა ცხელი წყლის ონკანს, – ნავის გაკეთებაც იცის, სხვა რამეებიც ეხერხება. ოდნავ პატარა რომ იყოს, მაშინ ხომ მთლად ოქრო იქნებოდა! ცოტა ცხელი წყალიც, თუ შეიძლება!

სანამ ონკანი აბაზანაში ცხელ წყალს ამატებდა, ძია ტიკ-ტაკი ფეხებგაჭიმული იწვა.

– საკმარისია! – დაიძახა ძია ტიკ-ტაკმა, – გმადლობთ.

– ხ... ხხ... – ახიხინდა ცივი ონკანი, – უკაცრავად, თქვენს საქმეებში რომ ვერევი, მაგრამ, რას იტყვით, ცოტათი რომ შედგეს.

– შედგეს? – წამოიძახეს ძია ტიკ-ტაკმა და ცხელმა ონკანმა ერთდროულად, – თქვენ გინდათ თქვათ, რომ...

– მე იმის თქმა მინდა, რომ ვეფხვებს აბაზანები ძალიან უყვართ. ჰოდა, აი, ღრრრი რომ ცოტა დიდხანს დარჩეს აბაზანაში, შედგება. რაც კი ბენვისაა, ცხელ წყალში ყველაფერი პატარავდება.

– კი, ასეა! – დაეთანხმა ონკანს ძია ტიკ-ტაკი, – მა-

გრამ ისიც არ მინდა, რომ ძალიან დაჰატარავდეს. კატისოდენა ვეფხვი ვის რაში სჭირდება! აი, დიდ, მოზრდილი კატისოდენა ვეფხვს კიდევ არა უშავს რა. მაშინ ნავშიც ჩაეტევა. მაგრამ თვითონ რომ არ მოინდომოს აბაზანაში იმდენ ხანს წოლა, რამდენიც საჭიროა?

– ცხე! – დაიძახა – ცივმა ონკანმა, – ცხელი ონკანი დაგვეხმარება. იცით, ცხე ისე შესანიშნავად ჰყვება ზღაპრებს, ყურს ვერ მოაშორებთ!

– ო, ცი, თქვენ დიდად თავაზიანი ონკანი ბრძანდებით! – დაირცხვინა ცხემ.

– დარწმუნებული ვარ, – განაგრძო ციმ, – ცხემ თუ ზღაპრის მოყოლა დაიწყო, ღრრრი აბაზანიდან მანამ არ ამოვა, სანამ იმოდენაზე არ შედგება, რამდენიც საჭიროა.

– დიდებულია! – დაეთანხმა ძია ტიკ-ტაკი და როცა ღრრრი ფოსტიდან დაბრუნდა, უთხრა:

– ჩემო კარგო ღრრრი, აბაზანის მიღებას ხომ არ ისურვებდი, იქნებ ცოტათი შედგე.

– ახლავე! – გაუხარდა ღრრრის და კიბე სამ-სამ საფეხურზე ხტომით აირბინა, ერთდროულად მოუშვა ცხელი და ცივი ონკანი, აბაზანაში ჩავიდა და მოხერხებულად დაწვა ზურგზე.

– იყო და არა იყო რა, – დაიწყო ცხელმა ონკანმა...